

საშუამავლო მომსახურების საერთო პირობები

1. ტერმინთა განმარტებები:

თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული ან მისი კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, ხელშეკრულებაში ქვემოთ მოცემულ დეფინიციებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- 1.1. ანგარიში - განაცხადით გათვალისწინებული პერიოდულობით, კონტრაქტის მიერ კომპანიისთვის წარდგენილი ინფორმაცია ამავე განაცხადით გათვალისწინებული დროის მონაკვეთის განმავლობაში კომპანიის მიერ კონტრაქტთან გადამისამართებული იმ კლიენტების შესახებ, რომლებმაც ფაქტობრივად შეიძინეს კონტრაქტის პროდუქტი/მომსახურება;
- 1.2. განაცხადი - კონტრაქტის მიმართვა (კომპანიის მიერ დადგენილი ფორმით) კომპანიისადმი, რომ კომპანიამ განაცხადში განსაზღვრული პირობების შესაბამისად, განახორციელოს საშუამავლო მომსახურება;
- 1.3. განცხადებები და გარანტიები - საერთო პირობების მე-5 პუნქტში მოცემული კონტრაქტის განცხადებები და გარანტიები;
- 1.4. დამატებითი პირობები - საერთო პირობების დანართი NI (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განსაზღვრული პირობები, მასში შეტანილი დამატებებისა და ცვლილებების ჩათვლით;
- 1.5. დანართი - თუკი ცალსახად სხვაგვარად არ იქნა გათვალისწინებული ხელშეკრულებით, ხელშეკრულების დანართ(ებ)ი ან/და განაცხადი (კონტექსტის შესაბამისად), რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად;
- 1.6. ვებ-გვერდი - www.solo.ge;
- 1.7. კანონმდებლობა - საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები და საქართველოს ნორმატიული აქტთა სისტემაში მოქცეული საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები;
- 1.8. კლიენტი - პირი, რომელსაც ხელშეკრულების საფუძველზე და მისი პირობების შესაბამისად, კომპანია ამისამართებს კონტრაქტთან;
- 1.9. კომპანია - შპს სოლო (ს/ნ 402013726);
- 1.10. კონტრაქტი - პირი, რომლის სახელი, საიდენტიფიკაციო მონაცემები და სხვა სახის ინფორმაცია მოცემულია განაცხადში;
- 1.11. მასალა - უძრავ-მოძრავი ნივთები და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელიც გამოიყენება კომპანიის მიერ საშუამავლო მომსახურების შესასრულებლად (ნაკეთობის დასამზადებლად) და რომელიც გადაამუშავების ან/და სხვა მასალასთან შერწყმის შედეგად (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ქმნის ახალ ნაკეთობას;
- 1.12. მომსახურება - კლიენტის მოთხოვნის შესაბამისად, კონტრაქტის მიერ კლიენტისათვის გაწეული/გასაწევი მომსახურება, რომლის გაწევაც აკრძალული არ არის კანონით ან არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს;
- 1.13. მიწოდების სერვისი - პროდუქტის კლიენტისათვის სასურველ ადგილზე მიწოდების მომსახურება;
- 1.14. მესამე პირი - ნებისმიერი პირი გარდა კონტრაქტისა და კომპანიისა;
- 1.15. მხარე/მხარეები - კომპანია ან/და კონტრაქტი (კონტექსტის შესაბამისად);
- 1.16. ნივთობრივი ნაკლი/ნივთობრივად უნაკლო - პროდუქტი ნივთობრივად ნაკლია თუ მისი ხარისხი არ არის წინასწარ შეთანხმებული კონტრაქტსა და კლიენტს შორის და იგი უვარგისია მათ შორის შეთანხმებული ან ჩვეულებრივი სარგებლობისათვის. ნივთობრივ ნაკლს უთანბრდება, თუ კონტრაქტი გადასცემს პროდუქტს მხოლოდ ერთ ნაწილს, სულ სხვა პროდუქტს, მცირე რაოდენობით ან, თუ პროდუქტის ერთი ნაწილი ნივთობრივი ნაკლის მქონეა;
- 1.17. პირი - ფიზიკური პირ(ებ)ი, იურიდიული პირ(ებ)ი ან/და საქართველოს ან სხვა ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნ(ებ)ი, რომელიც/რომლებიც არ წარმოადგენს/წარმოადგენენ იურიდიულ პირ(ებ)ს;
- 1.18. პროდუქტი - კლიენტის მოთხოვნის შესაბამისად, კონტრაქტის მიერ კლიენტისათვის შეთავაზებული/მიწოდებული/მისაწოდებელი ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა ფლობაც, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა შექმნაც შეიძლება შეუზღუდავად, თუკი ეს აკრძალული არ არის კანონით ან არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს;
- 1.19. საერთო პირობები - წინამდებარე საშუამავლო მომსახურების საერთო პირობები;
- 1.20. სამუშაო დღე - დღე, შაბათის, კვირის ან კანონმდებლობით განსაზღვრული ოფიციალური დასვენების დღეების გარდა;
- 1.21. უფლებრივი ნაკლი/უფლებრივად უნაკლო - პროდუქტი უფლებრივად ნაკლია თუ მესამე პირს შეუძლია განუცხადოს კლიენტს პრეტენზია თავისი უფლებების გამო, მათ შორის ერთმნიშვნელოვნად: ა) პროდუქტთან დაკავშირებით შესაბამის სარეგისტრაციო ორგანოში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეგისტრირებული არარსებული უფლება ან/და მოთხოვნა/ვალდებულება ან/და ბ) პროდუქტი არის სადავო, არის აღძრული სარჩელი მესამე პირის მიერ პროდუქტზე საკუთრების ან სხვა (მფლობელობის, სარგებლობის) უფლების მოპოვების მოთხოვნით;
- 1.22. ფორს-მაჟორი - სტიქიური კატასტროფა, ხანძარი, საომარი მოქმედება, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან/და მხარეთათვის გადაუღალავი და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელი სხვა გარემოებები, რომლებიც: ა) არ არის დაკავშირებული მხარეების შეცდომებსა და დაუდევრობასთან, ბ) დაიწყო ან განვითარდა ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ და გ) პირდაპირ და უშუალო ზეგავლენას ახდენს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად ან/და ჯეროვნად შესრულებაზე;
- 1.23. ქონება - კონტრაქტის მიერ კომპანიისათვის გადაცემული უძრავ-მოძრავი ნივთები და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელიც გამოიყენება კომპანიის მიერ საშუამავლო მომსახურების შესასრულებლად;
- 1.24. ხელშეკრულება - (ა) კონტრაქტის მიერ კომპანიისთვის წარდგენილი განაცხადი; (ბ) საერთო პირობები; (გ) მხარეთა შორის დადებული საერთო პირობების დანართი NI (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და (დ) ნებისმიერი დამატებითი დანართი ან/და განაცხადი, რომელიც დაიდება მომავალში, მათში პერიოდულად შეტანილი ცვლილებების და დამატებების ჩათვლით.

2. ხელშეკრულების საგანი

- 2.1. ხელშეკრულების საფუძველზე და მისი პირობების შესაბამისად, კომპანია უფლებამოსილია კლიენტისთვის სასურველი პროდუქტის/მომსახურების შექმნის მიზნით კლიენტი გადაამისამართოს კონტრაქტთან (შემდგომში - საშუამავლო მომსახურება), ხოლო კონტრაქტი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს კომპანიას საშუამავლო მომსახურების საფასური (შემდგომში - საშუამავლო მომსახურების საფასური).
- 2.2. მხარეთა საკონტაქტო ინფორმაცია, მხარეთა საბანკო ანგარიშის მონაცემები, რომელზეც უნდა მოხდეს ანგარიშსწორება, საშუამავლო მომსახურების ვადა, პროდუქტი/მომსახურება, რომელსაც კონტრაქტი სთავაზობს კლიენტს, საშუამავლო მომსახურების საფასურის მოცულობა და მისი გადახდის პირობები,

ანგარიშის წარდგენის პირობები, პროდუქტის/მომსახურების მიწოდების განსაკუთრებული პირობები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ხელშეკრულების დარღვევისათვის კონტრაქტის მიერ კომპანიისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ოდენობა, საშუალო მომსახურების სხვა პირობები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განისაზღვრება განაცხადით.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, მხარეები:

3.1.1. უფლებამოსილი არიან სრულად და ჯეროვნად ისარგებლონ ხელშეკრულებით ან/და შესაბამისი კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებებით;

3.1.2. მოვალენი არიან სრულად და ჯეროვნად შეასრულონ ხელშეკრულებით ან/და შესაბამისი კანონმდებლობით განსაზღვრული ვალდებულებები.

3.2. კონტრაქტი ვალდებულია:

3.2.1. კომპანიის მიერ მისთვის საშუალო მომსახურების გასაწევად, მიმართოს კომპანიას შესაბამისი განაცხადით;

3.2.2. გადაუხადოს კომპანიას საშუალო მომსახურების საფასური განაცხადით გათვალისწინებული ოდენობით, თუ კომპანიის მიერ კონტრაქტთან კლიენტის გადამისამართებიდან არაუგვიანეს განაცხადში მითითებულ ვადაში კლიენტი შეიძენს კონტრაქტის პროდუქტს/მომსახურებას;

3.2.3. კლიენტს მიაწოდოს პროდუქტი/მომსახურება ხელშეკრულებითა და კლიენტთან შეთანხმებული წესითა და პირობებით. ამასთან, კონტრაქტი ვალდებულია:

3.2.3.1. კლიენტზე პროდუქტის რეალიზაციის შემთხვევაში, გადასცეს: ა) კლიენტს უფლებრივად უნაკლო საკუთრების უფლება პროდუქტზე; ბ) პროდუქტთან დაკავშირებული საბუთები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და გ) ნივთობრივად უნაკლო პროდუქტი (იმ შემთხვევაში როცა პროდუქტს წარმოადგენს ნივთი ან არამატერიალური ქონებრივი სიკეთე (ან მისი ნაწილი), რომელიც იძლევა ნივთის ფლობის უფლებას). აგრეთვე, პროდუქტის სპეციფიკიდან გამომდინარე განახორციელოს თანმდევით მომსახურება (ასეთის არსებობისას), გარდა იმ შემთხვევისა როდესაც აღნიშნული პროდუქტის რეალიზაციის თაობაზე კლიენტთან შეთანხმებით სხვა რამ არის გათვალისწინებული;

3.2.3.2. კლიენტისათვის მომსახურების გაწევის შემთხვევაში, კლიენტს მომსახურება გაუწიოს ხელშეკრულებითა და კლიენტთან შეთანხმებული წესითა და პირობებით;

3.2.3.3. უზრუნველყოს კლიენტთან შეთანხმებული პირობების სრულად და ჯეროვნად შესრულება;

3.2.3.4. კლიენტთან შეთანხმებული პირობების დარღვევის შემთხვევაში პასუხი აგოს კლიენტის წინაშე ხელშეკრულებითა და კლიენტთან შეთანხმებული წესითა და პირობებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ხოლო კლიენტთან პასუხისმგებლობის საკითხებზე შეუთანხმებლობის შემთხვევაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3.2.4. კომპანიასთან ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებით ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით ითანამშრომლოს ექსკლუზიურად, რაც თავის მხრივ, გამორიცხავს კონტრაქტის უფლებას ითანამშრომლოს სხვა პირთან ანალოგიური ან მსგავსი ხელშეკრულების საგანზე ანალოგიური ან მსგავსი პირობებით;

3.2.5. განაცხადში მითითებული პერიოდულობით და დროს ამავე განაცხადით განსაზღვრულ მხარეთა ელექტრონული ფოსტის მისამართზე წარუდგინოს კომპანიას ანგარიში. ანგარიშსა და კომპანიის ინფორმაციას შორის უზუსტობის აღმოჩენის შემთხვევაში, ანგარიშსწორება მოახდინოს კომპანიის ინფორმაციის საფუძველზე;

3.2.6. საშუალო მომსახურების შესრულების პროცესში მისთვის ხელმისაწვდომი და კომპანიისგან მიღებული პერსონალური მონაცემების ნებისმიერი სახით დამუშავება განახორციელოს მხოლოდ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისთვის და კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ამ ბუნქტის მიზნებისთვის პერსონალურ მონაცემთა დამუშავებად მიიჩნევა ავტომატური, ნახევრადავტომატური ან არაავტომატური საშუალებების გამოყენებით მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი ქმედება, კერძოდ, მონაცემთა შეგროვება, ჩაწერა, ფოტოზე აღბეჭდვა, ორგანიზება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება ან გამჟღავნება მონაცემთა გადაცემის გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით დაჯგუფება ან კომბინაცია, დაბლოკვა და ა.შ.;

3.2.7. კანონმდებლობით ან/და კომპანიის მიერ განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისად უზრუნველყოს პირის პერსონალური მონაცემების დაცვა. ამასთან, კომპანიის მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს მას ანგარიში კონტრაქტის მიერ აღნიშნული ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფად მიღებული ზომებისა და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.

3.3. კომპანია ვალდებულია:

3.3.1. თუ კლიენტი მიმართავს კომპანიას კონკრეტული პროდუქტის შეძენაში/მომსახურების გაწევაში მხარდაჭერის მოთხოვნით, კლიენტის კონტრაქტთან გადამისამართებისას მიაწოდოს კლიენტს კონტრაქტის საკონტაქტო მონაცემები. ამასთან, კლიენტი საკუთარი სურვილის შესაბამისად:

3.3.1.1. თავად უზრუნველყოფს კონტრაქტთან კომუნიკაციას და პროდუქტის/მომსახურების შეძენისა და მიღების დეტალების შეთანხმებას კონტრაქტთან; ან
3.3.1.2. კომპანია კლიენტთან შეთანხმებით უზრუნველყოფს კლიენტის მხარდაჭერას კონტრაქტთან კომუნიკაციაში და პროდუქტის/მომსახურების შეძენისა და მიღების დეტალების (მათ შორის და არამხოლოდ: კლიენტისათვის სასურველი პროდუქტი/მომსახურება, მისი ფასები, კლიენტისათვის სასურველ დროს პროდუქტის/მომსახურების ხელმისაწვდომობა, მისი მიწოდების დრო, ადგილი, ანგარიშსწორების ვადები, ანგარიშსწორების საშუალებები, იმ საბანკო ანგარიშის მონაცემები, რომელზეც უნდა მოხდეს ანგარიშსწორება, პროდუქტის/მომსახურების შესაძენად შესაბამისი გარიგების დადების ფორმა, მიწოდების სერვისის ხელმისაწვდომობა და მიწოდების სერვისის პირობები) შესახებ;

3.3.2. კონტრაქტთან კლიენტის გადამისამართებიდან ამავე განაცხადით განსაზღვრულ კონტრაქტის ელექტრონული ფოსტის მისამართზე მიაწოდოს კონტრაქტს ინფორმაცია გადამისამართებული კლიენტის მონაცემების (სახელი, გვარი, პირადი ნომერი), კლიენტისათვის სასურველი პროდუქტის/მომსახურების, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი პროდუქტის/მომსახურების მიღებას აპირებს სხვა პირის მეშვეობით, აღნიშნული პირის მონაცემების (სახელი, გვარი, პირადი ნომერი) შესახებ.

3.4. კომპანია უფლებამოსილია კლიენტთან კომუნიკაციის საფუძველზე გადაამოწმოს კონტრაქტის მიერ 3.2.5. ქვებუნქტის შესაბამისად წარმოდგენილ ანგარიშში გათვალისწინებული ინფორმაციის სისწორე. კონტრაქტის მიერ წარმოდგენილ ანგარიშსა და კომპანიაში დაცულ, კლიენტებისგან მიღებულ ინფორმაციას შორის უზუსტობისას, უპირატესობა მიენიჭება კომპანიაში დაცულ და კლიენტებისგან მიღებულ ინფორმაციას და კონტრაქტი ვალდებულია ანგარიშსწორება მოახდინოს აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე.

3.5. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, მიუხედავად იმისა, რომ საშუალო მომსახურების შესრულებისას შესაძლოა კონტრაქტთან კომუნიკაციაში და პროდუქტის/მომსახურების მიღების დეტალების კონტრაქტთან შეთანხმებაში კლიენტის მხარდაჭერა კომპანიამ უზრუნველყოს, პროდუქტის/მომსახურების შეძენის წარმოდგენს კლიენტი და არა კომპანია, შესაბამისად კლიენტის წინაშე პროდუქტთან/მომსახურებასთან დაკავშირებით სრულად პასუხისმგებელია მხოლოდ კონტრაქტი. აღნიშნული არ გამორიცხავს კომპანიის უფლებას თავადაც მიმართოს კონტრაქტს და მოსთხოვოს კლიენტის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულება.

- 3.6. კლიენტის მიერ პროდუქტის/მომსახურების მიღებაზე უარის თქმის, პროდუქტის/მომსახურების საფასურის კონტრაქტისათვის გადაუხდელობის ან კლიენტსა და კონტრაქტს შორის შეთანხმებული პირობების კლიენტის მიერ დარღვევის შემთხვევაში, კომპანია არ აგებს პასუხს და შესაბამისად, წინამდებარე პუნქტში მითითებულ შემთხვევაში, კონტრაქტს არ აქვს უფლება კომპანიას წაუყენოს რაიმე სახის მოთხოვნა/პრეტენზია.
4. საშუაშაგლო მომსახურების სპეციფიკური პირობები
- 4.1. საერთო პირობები განთავსებულია ვებ-გვერდზე ან/და თან ერთვის განაცხადს, წარმოადგენს ხელშეკრულების შემადგენელ (განყოფილ) ნაწილს და განიხილება მასთან ერთად. ამასთან, განაცხადზე თანდართულ რედაქციასა და ვებ-გვერდზე განთავსებულ რედაქციას შორის წინააღმდეგობისას უპირატესობა ენიჭება ვებ-გვერდზე განთავსებულ რედაქციას, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან.
- 4.2. საერთო პირობებს, განაცხადს ან/და დამატებით პირობებს შორის წინააღმდეგობის ან შეუსაბამობის არსებობისას უპირატესობა ენიჭება: ა) პირველ რიგში, დამატებით პირობებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში); ბ) შემდეგ განაცხადს (დანართი NI-ისა და საერთო პირობების გარეშე) და გ) ბოლოს, საერთო პირობებს.
- 4.3. თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული კომპანია უფლებამოსილია საშუაშაგლო მომსახურების შესრულება და ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები სრულად ან ნაწილობრივ გადაანდოს/გადასცეს მესამე პირს (შემდგომში – სუბკონტრაქტორი).
- 4.4. სუბკონტრაქტორის მიერ საშუაშაგლო მომსახურების შესრულებლობისათვის ან/და არაჯეროვანი შესრულებისათვის, მათ შორის ერთმნიშვნელოვნად ნებისმიერი სახის ზიანისათვის (ზარალისათვის) პასუხისმგებლობა დაეკისრება კომპანიას იმ შემთხვევაში, თუ სუბკონტრაქტორის შერჩევაში კონტრაქტს არ მიუღია რაიმე სახის მონაწილეობა, ხოლო იმ შემთხვევაში თუ სუბკონტრაქტორის შერჩევაში კონტრაქტმა მიიღო რაიმე სახის მონაწილეობა, წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა სრულად დაეკისრება კონტრაქტს.
- 4.5. იმ შემთხვევაში, თუ კონტრაქტი მოითხოვს ან კომპანია მიზანშეწონილად ჩათვლის საშუაშაგლო მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯთაღრიცხვის შედგენას, კონტრაქტი ვალდებული იქნება დამატებით აღნაზღაუროს კომპანიას აღნიშნული ხარჯთაღრიცხვის შედგენის ხარჯები.
- 4.6. თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული საშუაშაგლო მომსახურების სრულად და ჯეროვნად შესრულების მიზნით კომპანია უფლებამოსილია მოსთხოვოს კონტრაქტს ის ინფორმაცია/დოკუმენტაცია, მასალა ან/და ქონება, რომლის გადაცემასაც, საკუთარი ინიციატივით კომპანია მიზანშეწონილად ჩათვლის.
- 4.7. კომპანია ვალდებულია მოუფრთხილდეს და ჯეროვანი გულისხმიერებით მოეპყროს კონტრაქტის მიერ მიერ მისთვის გადაცემულ ქონებას და მასალას, მოახდინოს მათი აღნიშნულებისამებრ გამოყენება, დაიცვას ისინი მესამე პირის ხელყოფისაგან. ამასთან, კომპანია არ აგებს პასუხს ქონების და მასალის ცვლილების ან/და გაუარესებისათვის, რაც გამოწვეულია მათი ნორმალური ცვეთის შედეგად.
- 4.8. კონტრაქტი ვალდებულია შეასრულოს კომპანიის მითითებები. კონტრაქტი უფლებამოსილია გადაუხვიოს კომპანიის მითითებებს, მხოლოდ: ა) კომპანიის წინასწარი თანხმობის საფუძველზე და ბ) თუ გარემოებებიდან გამომდინარე, კონტრაქტს შეუძლია ივარაუდოს, რომ კომპანია საქმის ვითარების ცოდნის შემთხვევაში მოიწონებდა ასეთ გადახვევას. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა კონტრაქტი ვალდებულია არ დაელოდოს კომპანიის თანხმობას და გადაუხვიოს კომპანიის მითითებებს, თუკი დაყოვნებით კომპანიას შეეკმენება ზიანის (ზარალის) მიყენების საფრთხე. კონტრაქტი ვალდებულია აანაზღაუროს მის მიერ ზემოხსენებული ქმედების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შედეგად კომპანიისთვის მიყენებული ნებისმიერი სახის ზიანი (ზარალი).
- 4.9. თუ კონტრაქტის მიერ კომპანიის მითითებების შესრულებამ შეიძლება კომპანიას მიაყენოს ნებისმიერი სახის ზიანი (ზარალი), კონტრაქტი ვალდებულია გონივრულ ვადაში შეატყობინოს კომპანიას მოსალოდნელი/არსებული ზიანის (ზარალის) თაობაზე და მოითხოვოს მითითების შეცვლა. კონტრაქტს შეეძლება კომპანიის მითითებების შესრულება მხოლოდ მაშინ, როცა აცნობებს კომპანიას მოსალოდნელი/არსებული ზიანის (ზარალის) თაობაზე, ხოლო ეს უკანასკნელი კი არ შეცვლის მითითებას. კონტრაქტი ვალდებულია აანაზღაუროს მის მიერ ზემოხსენებული ქმედების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შედეგად კომპანიისთვის მიყენებული ნებისმიერი სახის ზიანი (ზარალი).
- 4.10. ინფორმაცია/დოკუმენტაცია, მასალა, ქონება ან/და მისი/მათი ნაწილი მეორე მხარისათვის გადაცემულად, ხოლო საშუაშაგლო მომსახურება ან მისი ნაწილი (ეტაპი) შესრულებულად ჩაითვლება ფაქტობრივი მიღება-ჩაბარებიდან (შემდგომში – მიღება-ჩაბარება), თუ განაცხადით განსაზღვრული არ არის: ა) მიღება-ჩაბარების აქტის არსებობა ან ბ) მიღება-ჩაბარების სხვა წესი.
- 4.11. ქონება, რომელიც კონტრაქტმა გადასცა კომპანიას საშუაშაგლო მომსახურების შესასრულებლად, მესამე პირთან კომპანიის ურთიერთობაში ჩაითვლება კონტრაქტის ქონებად. ამასთან, კომპანია უფლებამოსილია კონტრაქტს წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე განახორციელოს ქონების სარგებლობაში გადაცემა მესამე პირისათვის, თუ აღნიშნული ხელს შეუწყობს საშუაშაგლო მომსახურების სრულად და ჯეროვნად შესრულებას.
5. განცხადებები და გარანტიები
- 5.1.1. ხელშეკრულების დადება და შესრულება არ იწვევს/გამოიწვევს იმ სახელშეკრულებო, სასამართლო (მათ შორის, საარბიტრაჟო სასამართლო), საკანონმდებლო ან/და სხვა ვალდებულებების დარღვევას, რომელთა დაცვაზეც ის პასუხისმგებელია;
- 5.1.2. ხელშეკრულების დადების/ხელმოწერის მომენტისათვის, ის არ მონაწილეობს არც ერთ დავაში (მოსარჩელის, მოპასუხის, მესამე პირის ან სხვა სახით), რითაც საფრთხე ექმნება მის აქტივებს/ქონებას ან/და მის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებას;
- 5.1.3. ხელშეკრულების დადების/ხელმოწერისა და მოქმედების მთელი პერიოდისათვის მისი საქმიანობა ან/და ქმედება შესაბამისობაში არის/იქნება საკუთარ წესდებასთან ან/და სხვა მარეგულირებელ დოკუმენტთან და ადგილობრივ ან/და საერთაშორისო კანონმდებლობასთან;
- 5.1.4. ხელშეკრულების დადების/ხელმოწერისა და მოქმედების მთელი პერიოდისათვის იგი იცავს და დაიცავს ნებისმიერი ხელშეკრულების ან/და სხვა გარიგების პირობებს, ან/და სხვა ვალდებულებებს, რომელთა შესრულებლობამაც შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს კონტრაქტის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე;
- 5.1.5. მისი ქმედება არ არის/იქნება მიმართული კომპანიის მოტყუებისაკენ. აღნიშნული პრინციპის გათვალისწინებით ხელშეკრულების დასადებად ან მის საფუძველზე და შესასრულებლად, მის მიერ კომპანიისთვის წარდგენილი დოკუმენტი ან/და ინფორმაცია მისი წარმოდგენის მომენტისათვის ასევე არის/იქნება უტყუარი, ზუსტი და სრული. ამასთანავე, მისთვის ცნობილია, რომ ყალბი დოკუმენტების ან/და ინფორმაციის მიწოდება კანონმდებლობის შესაბამისად წარმოადგენს დასჯად ქმედებას;
- 5.1.6. მისთვის ცნობილია, რომ კომპანიის პოლიტიკა მკაცრად კრძალავს დირექტორის, უფლებამოსილი პირის, წარმომადგენლის, თანამშრომლის, სხვა პერსონალის ან მასთან დაკავშირებული პირის ან/და მისი აფილირებული პირის მონაწილეობას იმგვარ ქმედებებში, რაც გულისხმობს ღირებულების მქონე რაიმე ნივთის/არამატერიალური ქონებრივი სიკეთის შეთავაზებას ან მიღებას (პირდაპირ თუ არაპირდაპირ), ამა თუ იმ პირის, კომპანიის, მასთან დაკავშირებული პირის ან/და მისი აფილირებული პირის ან მისი კლიენტის მიერ სარგებლის მიღების, ბიზნესის არაკეთილსინდისიერად მოპოვების ან შენარჩუნების ან/და სხვაგვარი ბიზნეს უპირატესობის მიღების მიზნით;

- 5.1.7. მას (მათ შორის არც მის დირექტორს, უფლებამოსილ **პირს**, წარმომადგენელს, თანაშრომელს ან სხვა პერსონალს) ან მასთან დაკავშირებული **პირს** ან/და მის აფილირებულ **პირს**:
- 5.1.7.1. პირდაპირ ან არაპირდაპირ არ გადაუხდია ან მიუღია (ან ჩართულა რაიმე გარიგებაში, რომლის მიხედვითაც უნდა გადაიხადოს ან მიიღოს), ნებისმიერი უკანონო ან/და დაფარული საკომისიო, ქრთამი, სასყიდელი ან ანაზღაურება, რაც შეიძლება უკავშირდებოდეს **ხელშეკრულებას**; ან/და
- 5.1.7.2. არ განუხორციელებია რაიმე ქმედება (ფარული შეთანხმების ჩათვლით), რასაც შესაძლოა გავლენა მოეხდინა **საშუამავლო მომსახურების** შესყიდვის პროცესზე ან **ხელშეკრულების** დადებაზე, რომლის მიზანია ფასების ხელოვნური რეგულირება ან/და არაკონკურენტული გარემოს შექმნა; ან/და
- 5.1.7.3. არ შეუთავაზებია ან მიუღია ღირებულების მქონე რაიმე ნივთი/არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რასაც შეიძლება გავლენა მოეხდინა **კომპანიის**, მისი დირექტორის, უფლებამოსილი **პირის**, წარმომადგენლის, თანაშრომლის, სხვა პერსონალის ან მასთან დაკავშირებული **პირის** ან/და მისი აფილირებული **პირის** ქმედებებზე, ასევე რომელიმე ზემოაღნიშნული **პირის** მხრიდან არ ჰქონია ადგილი მუქარას მისი ქონების ან რეპუტაციის მიმართ, ბიზნეს უპირატესობის არაკეთილსინდისიერად მოპოვების, ან ბიზნესის წარმოების მიზნით; ან/და
- 5.1.7.4. სხვაგვარად არ ყოფილა ჩაბმული კორუფციულ საქმიანობაში.
- 5.1.8. **კომპანიის** პოლიტიკის ან ნებისმიერი ზემოაღნიშნული დებულების დარღვევა გამოიწვევს მის დაუყოვნებლივ დისკვალიფიკაციას **საშუამავლო მომსახურების** შესყიდვის პროცესიდან ან/და **ხელშეკრულების** შეწყვეტას. ამასთან, ამგვარი დისკვალიფიკაცია ან/და **ხელშეკრულების** შეწყვეტა არ გამოირიგება **კონტრაქტის** ან/და მისი დირექტორის, უფლებამოსილი **პირის**, წარმომადგენლის, თანაშრომლის, სხვა პერსონალის ან მასთან დაკავშირებული **პირის** ან/და მისი აფილირებული **პირის** პასუხისმგებლობას და შესაბამის სანქციებს, რაც გათვალისწინებულია **კანონმდებლობით** (მათ შორის, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობასაც).
- 5.2. **კონტრაქტის** აღნიშნული **განცხადებები და გარანტიები** ძალაშია **მხარეთა** მიერ **ხელშეკრულების** საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე, მიუხედავად **ხელშეკრულების** სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტისა.
- 5.3. **კონტრაქტი** დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს **კომპანიას** ყველა იმ გარემოებ(ებ)ის შესახებ, რომელიც შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს მის აღნიშნულ **განცხადებებთან და გარანტიებთან** ან/და გამოიწვიოს მათი დარღვევა; ასევე, ნებისმიერი ისეთი გარემოების დაწყების ან დადგომის შესახებ, რითაც საფრთხე შეექმნება **კონტრაქტის** აქტივებს/ქონებას ან/და მის მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებას.
- 5.4. **მხარეები** აცხადებენ და აცნობიერებენ, რომ **კომპანია** მხოლოდ **კონტრაქტის** ზემოაღნიშნული **განცხადებების და გარანტიების** საფუძველზე და მათზე დაყრდნობით დებს/დადებს და შეასრულებს **ხელშეკრულებას**.
6. **მხარეთა პასუხისმგებლობა**
- 6.1. თუ **ხელშეკრულებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული:
- 6.1.1. **კონტრაქტი** იღებს ვალდებულებას, რომ მის მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულების დარღვევისათვის გადაუხადოს **კომპანიას** **პირგასამტეხლო განაცხადში** მითითებული ოდენობით.
- 6.1.2. **მხარეები** იღებენ ვალდებულებას აუნაზღაურონ ერთმანეთს მათ მიერ **ხელშეკრულების** სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი (ზარალი) **კანონმდებლობით** ან/და **ხელშეკრულებით** დადგენილი წესით, ხოლო ზარალის ანაზღაურება **მხარეებს** არ ათავისუფლებს **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან (გადახდისაგან).
- 6.2. **ფორს-მაჟორის** მოქმედების განმავლობაში არც ერთი **მხარე** არ აგებს პასუხს **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის.
- 6.3. **მხარე**, რომელსაც დაუდგა **ფორს-მაჟორი**, ვალდებულია გონივრულ ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს 5 (ხუთი) **სამუშაო დღისა**, აცნობოს მეორე **მხარეს** შესაბამისი **ფორს-მაჟორული** გარემოებ(ებ)ის და მისი/მათი სავარაუდო ხანგრძლივობის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი კარგავს უფლებას დაეყრდნოს **ფორს-მაჟორის** არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველს.
- 6.4. შეტყობინებაში მითითებული **ფორს-მაჟორული** გარემოებ(ებ)ი, თუ ისინი არ წარმოადგენენ საყოველთაოდ აღიარებულ ფაქტებს (გარემოებებს) ან მეორე **მხარეს** ეჭვი შეაქვს მათ ნამდვილობაში, შესაბამისი **მხარის** მიერ **ფორს-მაჟორული** გარემოებ(ებ)ის თაობაზე ცნობის მიღებიდან ან შესაბამისი **მხარის** მიერ **ფორს-მაჟორული** გარემოებ(ებ)ის არსებობაზე ეჭვის გამოთქმის თაობაზე შეტყობინების მეორე **მხარისათვის** გაგზავნიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში **ფორს-მაჟორული** გარემოებ(ებ)ის არსებობა უნდა დადასტურდეს **კანონმდებლობით** განსაზღვრული უფლებამოსილი ორგანოს მიერ.
- 6.5. თუ **ფორს-მაჟორის** მოქმედება, შესაბამისი **მხარის** მიერ **ფორს-მაჟორული** გარემოებ(ებ)ის თაობაზე ცნობის ან **ფორს-მაჟორული** გარემოებ(ებ)ის არსებობის დადასტურების თაობაზე სათანადო ორგანოს დასკვნის მიღების თარიღიდან 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეზე მეტ ხანს გრძელდება, აღნიშნული 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღიანი ვადის გასვლიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარულ დღის ვადაში **მხარეებმა** უნდა გადაწყვიტონ **ხელშეკრულების** ბედი, წინააღმდეგ შემთხვევაში **ხელშეკრულება** ძალადაკარგულად ჩაითვლება.
- 6.6. მიუხედავად **საერთო პირობების 6.1. პუნქტით** განსაზღვრული გარანტიებისა, **კონტრაქტის** მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების უზრუნველსაყოფად და შესაბამისად **კომპანიის** უფლებებისა და მოთხოვნების უზრუნველყოფის მიზნით, **კონტრაქტი** აცხადებს წინასწარ თანხმობას **კომპანიის** სრულ უფლებამოსილებაზე, საკუთარი შეხედულებისამებრ არ გადაუხადოს **კონტრაქტს ხელშეკრულებით** გათვალისწინებული გადასახდელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რაც შესაბამისი მოცულობით ჩაითვლება (გაიქვითება) **კონტრაქტის** მიერ **კომპანიისთვის ხელშეკრულებით** გათვალისწინებული გადასახდელის (პირგასამტეხლო, ზიანის (ზარალის) ანაზღაურება და სხვა) ანგარიშში;
7. **ანგარიშსწორება**
- 7.1. **მხარეთა** შორის ანგარიშსწორება წარმოებს ნაღდი ან/და უნაღდო ანგარიშსწორების წესით.
- 7.2. **ხელშეკრულებით** განსაზღვრული ნებისმიერი სახის ფულადი ვალდებულება, გარდა **საშუამავლო მომსახურების საფასურისა**, უნდა შესრულდეს (გადახდილ უნდა იქნეს) ფულადი ვალდებულების წარმოშობის თარიღიდან (ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების დღიდან, პირგასამტეხლოს მოთხოვნის დღიდან და სხვა) 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში. ამასთან, თუ ვალდებულების შესრულების (გადახდის) დღე დაემთხვა არასამუშაო ან გამოსასვლელ დღეს, ამ დღის ნაცვლად გამოიყენება მომდევნო **სამუშაო დღე**.
- 7.3. ანგარიშსწორება განხორციელდება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, გადახდის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური კურსის შესაბამისად.
- 7.4. უნაღდო ანგარიშსწორებისას თანხები უნდა ჩაირიცხოს შესაბამისი **მხარის განაცხადით** განსაზღვრულ საბანკო ანგარიშზე ან **მხარეთა** მიერ დამატებით შეთანხმებულ სხვა საბანკო ანგარიშზე.

8. **კომუნიკაცია მხარეთა შორის**
- 8.1. **მხარეთა** შორის ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. **მხარისათვის** გათვალისწინებული წერილობითი შეტყობინება მას შეიძლება მიეწოდოს პირადად ან გაეგზავნოს კურიერის (მათ შორის, საერთაშორისო კურიერის) ან საფოსტო გზავნილის (მათ შორის, დაზღვეული წერილის) საშუალებით. ოპერატიულობის მიზნით და ქვემოთ მოცემული დებულებების გათვალისწინებით, დასაშვებია მეორე **მხარისათვის** შეტყობინების მიწოდება დეპშის, ტელექსის, ფაქსის ან ელექტრონული ფოსტის ან **კომპანის** მიერ დადგენილი ნებისმიერი სხვა ოპერატიული საშუალებით გაგზავნის გზით, იმ პირობით, რომ მეორე **მხარის** მოთხოვნის შემთხვევაში, ამგვარი მოთხოვნიდან გონივრულ ვადაში მას წარედგინება შეტყობინება წერილობითი ფორმითაც.
- 8.2. შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს თუ შეტყობინების მიღება დადასტურებულია ადრესატის მიერ (მათ შორის, ელექტრონული დოკუმენტით, ქვიტორით, შეტყობინების შესაბამისი სხვა საშუალებით და ა.შ.). თუ შეტყობინების მიღება არ არის დადასტურებული ადრესატის მიერ, ნებისმიერი ასეთი შეტყობინება მიიჩნევა სათანადო წესის შესაბამისად გაგზავნილად და მიღებულად:
- 8.2.1. კურიერის ან დაზღვეული საფოსტო გზავნილის მეშვეობით წერილობითი შეტყობინების ან დეპშის გაგზავნის შემთხვევაში – (ა) თუ შეტყობინება გაგზავნილია **კომპანის** მიერ, გაგზავნიდან 3 (სამი) კალენდარულ დღეში, ან ჩაბარების დადასტურების თარიღის დღეს (რომელსაც უფრო ადრე ექნება ადგილი); (ბ) თუ შეტყობინება გაგზავნილია **კონტრაქტის** მიერ, **კომპანის** კანცელარიაში შეტყობინების დარეგისტრირების მომდევნო **სამუშაო დღეს**; ფაქსის, ტელექსის, ელექტრონული ფოსტის ან/და სხვა ელექტრონული საშუალებით გაგზავნის შემთხვევაში – (ა) თუ შეტყობინება გაგზავნილია **კომპანის** მიერ, გაგზავნის თარიღიდან მეორე **სამუშაო დღეს**; (ბ) თუ შეტყობინება გაგზავნილია **კონტრაქტის** მიერ, **კომპანის** მიერ შესაბამისი შეტყობინების მიღების დადასტურების თარიღიდან, ან შესაბამისი ქმედების განხორციელებით შეტყობინების მიღების დადასტურების თარიღიდან.
- 8.2.2. შეტყობინება მიღებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ შეტყობინების გამგზავნ **მხარეს** შეტყობინება დაუბრუნდება გაგზავნილ მისამართზე/საკონტაქტო მონაცემებზე შეტყობინების ადრესატის ადგილსამყოფელის არარსებობის გამო, ადრესატი უარს განაცხადებს შეტყობინების მიღებაზე, ან თავს აარიდებს მის მიღებას.
- 8.3. **მხარეები** ურთიერთობას განახორციელებენ **ხელშეკრულებით** განსაზღვრულ მისამართებზე/საკონტაქტო მონაცემებზე (ან სხვა ნებისმიერ მისამართზე/საკონტაქტო მონაცემზე, რომელსაც ერთი **მხარე** აცნობებს მეორეს წერილობით). **მხარე** ვალდებულია აღნიშნული მისამართ(ებ)ის ან მათი რომელიმე მონაცემის ცვლილების შესახებ დროულად აცნობოს მეორე **მხარეს**, წინააღმდეგ შემთხვევაში, **მხარის** მიერ აღნიშნულ მისამართზე განხორციელებული ურთიერთობა (შეტყობინების გაგზავნა და სხვა) ჩაითვლება ჯეროვნად შესრულებულად.
- 8.5. **ხელშეკრულებით** შეიძლება გათვალისწინებული იყოს შეტყობინების განხორციელება **საერთო პირობების 8.1. პუნქტით** გათვალისწინებული კომუნიკაციის კონკრეტულად ერთ-ერთი საშუალებით, ან განსხვავებული ფორმით.
9. **კონფიდენციალურობა**
- 9.1. **მხარეები** ვალდებული არიან, როგორც **ხელშეკრულების** მოქმედების პერიოდში, ასევე სახელშეკრულებო ურთიერთობის დამთავრების შემდეგაც დაიცვან მეორე **მხარისაგან** მიღებული ნებისმიერი სახის ინფორმაციის კონფიდენციალურობა.
- 9.2. კონფიდენციალურობის შესახებ ზემოაღნიშნული შეზღუდვა არ შეეხება ინფორმაციას ან ინფორმაციის გამჟღავნებას:
- 9.2.1. რომელიც **კანონმდებლობის** დარღვევის გარეშე იყო ცნობილი ინფორმაციის მიმღები **მხარისათვის** მეორე **მხარის** მიერ შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებამდე;
- 9.2.2. თუ ინფორმაციის გამჟღავნება მოხდება **მხარეთა** მიერ **კანონმდებლობის** მოთხოვნათა დაცვით და შესასრულებლად (მათ შორის, რომელიმე **მხარის** მიერ სასამართლო (მათ შორის, საარბიტრაჟო სასამართლო) წესით მისი უფლებების განსახორციელებლად);
- 9.2.3. რომლის მოპოვებაც შესაძლებელია სხვა წყაროებიდან;
- 9.2.4. თუ ინფორმაციის **მესამე პირისთვის** გამჟღავნება მოხდება ა) **მხარეთა** წერილობითი შეთანხმებით, რა შემთხვევაშიც ინფორმაციის გამცემი **მხარე** სრულად აგებს პასუხს **მესამე პირის** მიერ მისთვის გადაცემული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვაზე ან ბ) რომელიმე **მხარისგან** დამოუკიდებლად.
- 9.3. **კომპანია** უფლებამოსილია **კონტრაქტის** შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს **მესამე პირს კონტრაქტის** მიერ **ხელშეკრულების** პირობების შესრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად **კომპანის** უფლებების განხორციელების ან/და **კონტრაქტის** მიერ **ხელშეკრულების** პირობების შესრულებაზე მონიტორინგის მიზნით.
10. **პრეტენზიები და დავები**
- 10.1. **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე პრეტენზიები **მხარეებმა** შეიძლება ერთმანეთს წაუყენონ წერილობით ან/და ზუპირად. პრეტენზიის მიმღები **მხარე** ვალდებულია პრეტენზიის მიღებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში მთლიანად ან ნაწილობრივ დააკმაყოფილოს წამოყენებული პრეტენზია, ან წერილობით ან/და ზუპირად აცნობოს მეორე **მხარეს** მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.
- 10.2. **ხელშეკრულების** ირგვლივ წამოჭრილი ნებისმიერი დავა (მათ შორის, **ხელშეკრულების** არსებობასთან, ინტერპრეტაციასთან, შესრულებასთან და აღსრულებასთან დაკავშირებით) წყდება მოლაპარაკებით. დავის მოუგვარებლობის შემთხვევაში, **მხარეები** მიმართავენ სასამართლოს. ამასთან, **მხარეები** თანხმდებიან, რომ დავასთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ **კომპანის** სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება მიქცეული იქნება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.
11. **ხელშეკრულების მოქმედება და შეწყვეტა**
- 11.1. **ხელშეკრულება** ძალაში შედის **მხარეთა** მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და თუკი სხვაგვარად არ იქნა განსაზღვრული **განაცხადით** ან **ხელშეკრულების დანართ N1-ით (დამატებითი პირობები)** (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მოქმედებს **მხარეთა** მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.
- 11.2. **ხელშეკრულებით** ან/და **კანონმდებლობით** დადგენილ შემთხვევებში და პირობებით შესაძლებელია **საშუამავლო მომსახურების, ხელშეკრულების** ვადამდე სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტა:
- 11.2.1. **კომპანის** მიერ ცალმხრივად, თუ: ა) **ხელშეკრულების** მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე **კომპანია** უარს განაცხადებს **საშუამავლო მომსახურებაზე** ან ბ) **კონტრაქტი** სრულად და ჯეროვნად არ შეასრულებს **ხელშეკრულებით** განსაზღვრულ ნებისმიერ ვალდებულებას (მათ შორის, ფულად ვალდებულებას, **განაცხადებს და გარანტიებს**, ნებისმიერ პირობას ან/და სხვა ვალდებულებას);
- 11.2.2. **მხარეთა** წერილობითი შეთანხმებით;
- 11.2.3. **ხელშეკრულებით** ან/და **კანონმდებლობით** გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, თუ **კანონმდებლობით** გათვალისწინებული შემთხვევები, წინააღმდეგობაში არ მოდის **ხელშეკრულებასთან**.

- 11.3. **კომპანია** უფლებამოსილია **საერთო პირობების 11.2.1. და 11.2.3. ქვეპუნქტებით** გათვალისწინებული პირობების არსებობისას ცალმხრივად, ზიანის (ზარალის) ანაზღაურების გარეშე, სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტოს **საშუამავლო მომსახურება, ხელშეკრულება კონტრაქტისათვის** წერილობითი შეტყობინების გაგზავნით, **კონტრაქტის** მიერ შეტყობინების მიღებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში, თუ ამავე შეტყობინებით **საშუამავლო მომსახურების, ხელშეკრულების** სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტის სხვა ვადა ან/და პირობები არ არის გათვალისწინებული.
- 11.4. იმ შემთხვევაში, თუ **კონტრაქტი კანონმდებლობის** საფუძველზე და მის შესაბამისად მიიღებს **ხელშეკრულების** ცალმხრივად სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტის გადაწყვეტილებას, ვალდებულია წერილობით შეატყობინოს **კომპანიას** მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი, რომელიც არ უნდა იყოს 60 (სამოცი) კალენდარულ დღეზე ნაკლები. ხოლო თუ **ხელშეკრულებით ან/და კანონმდებლობით** გათვალისწინებულ შემთხვევებში **ხელშეკრულება** უნდა შეწყდეს უფრო მოკლე ვადებში ან/და **კომპანიის** მიზანშეწონილად მიაჩნია **ხელშეკრულების** უფრო მოკლე ვადებში შეწყვეტა, **ხელშეკრულება** შეიძლება უფრო მოკლე ვადებშიც შეწყდეს.
- 11.5. **კომპანიის** მიერ **ხელშეკრულების** ვადამდე სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტის შემთხვევაში **კონტრაქტი** ვალდებულია გადაუხადოს **კომპანიას საშუამავლო მომსახურების საფასური** მის მიერ ფაქტობრივად შესრულებული **საშუამავლო მომსახურების** შესაბამისად. ასეთ შემთხვევაში **კომპანია** არ იქნება ვალდებული აუნაზღაუროს **კონტრაქტს** რაიმე სახის ზიანი (ზარალი);
- 11.6. **ხელშეკრულების** შეწყვეტის შემთხვევაში:
- 11.6.1. **კომპანია** ვალდებულია დაუბრუნოს **კონტრაქტს საშუამავლო მომსახურების** შესასრულებლად მიღებული **მასალა** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან/და **ქონება** (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
- 11.6.2. **კომპანია** უფლებამოსილია დააკავოს **კონტრაქტის** მიერ **კომპანიისათვის** გადახდილი ავანსის თანხა, რაც გაიქვითება **ხელშეკრულების** შეწყვეტის მომენტისთვის **კომპანიის** მიერ ფაქტობრივად შესრულებული **საშუამავლო მომსახურებისათვის, კონტრაქტის** მიერ **კომპანიისათვის** გადასახდელ **საშუამავლო მომსახურების საფასურში**.
- 11.7. **ხელშეკრულების** სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტა არ ათავისუფლებს **კონტრაქტს ხელშეკრულებით** ნაკისრი ან/და **კანონმდებლობით** დადგენილი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისაგან (გადახდისაგან) ამგვარი ვალდებულების იძულებითი ან ნებაყოფლობითი შესრულების მომენტამდე.
- 11.8. თუ **ხელშეკრულების** სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტის შედეგები (პასუხისმგებლობა) არ არის გათვალისწინებული **ხელშეკრულებით**, მაშინ **მხარეები** იხელმძღვანელებენ შესაბამისი **კანონმდებლობით**.
12. **ცვლილებები და დამატებები**
- 12.1. **ხელშეკრულებაში** ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დაიშვება წერილობითი ფორმით **მხარეთა** შეთანხმებით.
- 12.2. მიუხედავად **საერთო პირობების 12.1. პუნქტით** გათვალისწინებული შეზღუდვისა, **კომპანია** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს საკუთარი შეხედულებისამებრ, **კონტრაქტის** დამატებითი თანხმობისა თუ აქცეპტის გარეშე, ცალმხრივად შეცვალოს **საერთო პირობები**.
- 12.3. **ბანკის** მიერ **საერთო პირობების 12.2. პუნქტით** გათვალისწინებული უფლების გამოყენების შემთხვევაში, **კომპანია** ვალდებულია, შესაბამისი ცვლილების/დამატების ძალში შესვლამდე 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე შეატყობინოს **კონტრაქტს, ვებ-გვერდზე** შესაბამისი ცვლილების/დამატების განთავსებით.
- 12.4. **ხელშეკრულებაში** შეტანილი ცვლილებები და დამატებები (მათ შორის, **საერთო პირობების 12.1. და 12.2. პუნქტების** შესაბამისად განხორციელებული ცვლილებები და დამატებები) წარმოადგენს **ხელშეკრულების დანართს** და მის განუყოფელ ნაწილს.
13. **სხვა პირობები**
- 13.1. **ხელშეკრულების დანართზე** სრულად ვრცელდება **ხელშეკრულების** მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის და ქვეპუნქტ(ებ)ის მოქმედება. ამასთან, **ხელშეკრულებასა** და **ხელშეკრულების დანართის** პირობებს შორის წინააღმდეგობის ან შეუსაბამობის არსებობისას, ამგვარი **დანართის** პირობებს მიენიჭება უპირატესობა იმ საკითხებთან მიმართებაში, რომელთა დასარეგულირებლადაც დადებულია ამგვარი **დანართი**.
- 13.2. **ხელშეკრულება** მისი ვალდებულებებითა და სარგოებით ვრცელდება და სავალდებულოა **მხარეთა** უფლებამონაცვლეების, თუ მემკვიდრეებისათვის/სამართალმემკვიდრეებისათვის, თუ **ხელშეკრულების** ან/და მისი/მათი მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის და ქვეპუნქტ(ებ)ის შინაარსის გათვალისწინებით **კანონმდებლობა** სხვა რამეს არ ითვალისწინებს.
- 13.3. **კონტრაქტს** უფლება არა აქვს **კომპანიის** წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე **მესამე პირს** გადასცეს ან გადააბაროს მასზე **ხელშეკრულებით** (მათ შორის, მათი **დანართით**) ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულება ან მინიჭებული უფლება. **კომპანიის** უარი გამორიცხავს ნებისმიერი ზემოაღნიშნული ქმედების ან/და გარიგების განხორციელების შესაძლებლობას და შესაბამისად ამ წესის დარღვევით განხორციელებული ქმედება ან/და გარიგება ბათილია და არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს, გარდა **კანონმდებლობით** ცალსახად განსაზღვრული შემთხვევებისა. ამასთან, ეს დებულება არ გულისხმობს დათქმას, რომ **კონტრაქტმა** პირადად უნდა შეასრულოს ვალდებულებები და არ გამორიცხავს **კომპანიის** უფლებას მიიღოს **მესამე პირისაგან** შემოთავაზებული შესრულება, მიუხედავად იმისა თანახმაა თუ არა **კონტრაქტი**.
- 13.4. **ხელშეკრულება** განიმარტება და რეგულირდება **კანონმდებლობის** შესაბამისად. იმ შემთხვევებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული **ხელშეკრულებით, მხარეები** იხელმძღვანელებენ **კანონმდებლობით** დადგენილი შესაბამისი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმებით ან/და დამატებით შეთანხმებული პირობებით.
- 13.5. **ხელშეკრულება** შედგენილია ქართულ ენაზე. თუ რომელიმე **მხარემ** არ იცის ქართული ენა ან/და მისი დამწერლობა, ან **მხარეებს** ან ერთ-ერთ **მხარეს** სურს, მაშინ **ხელშეკრულება** შესაძლოა შედგეს და დაიდოს ასევე **მხარეთათვის** მისაღებ სხვა ენაზეც. **ხელშეკრულების** ინტერპრეტაციისას უპირატესობა ენიჭება ქართულ ენაზე შედგენილ ტექსტს. აღნიშნული ნორმები ვრცელდება, ასევე, **მხარეთა** შორის ურთიერთობაზე ან/და **ხელშეკრულების**, თუ ნებისმიერი სხვა დოკუმენტის შედგენასა თუ ინტერპრეტაციაზე.